სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 სექტემბერი 2024

N 493/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მესტიის მუნიციპალიტეტში, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ 500 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ რეკონსტრუქციაზე სკოპინგის დასკვნა N52;
2. სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგო“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N52 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის „საქრუსენერგოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მესტიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მაია ბერაძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/493-21-4-202409051500

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE